



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 67  
05/12/2016

67-06-4-201612051036  


**განკარგულება №67**  
2016 წლის 07 დეკემბერი

**„სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში 2016 წლის 2 მარტის N23  
განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთის განაწილების შესახებ**

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს მთავრობის „სოფლის მრადაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილებას თანდართული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მე-2 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების (დასახლებების) მიხედვით გადანაწილებული 1342237 (ერთი მილიონ სამასორმოცდაორი ათას ორასორმოცდაჩვიდმეტი) ლარიდან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დარჩენილი ნაშთი 32371,03 (ოცდათორთმეტიათას სამასსამოცდათერთმეტი ლარი და სამი თერი. ) ლარი მიიმართოს მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციოდ კერძოდ სოფელ სილაურში 200 გრძივი მეტრი ბეტონის გზის მოწყობა.


**მუხლი 2.** დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 4.** განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

Handwritten signature in blue ink, appearing to be 'D. Darchia'.

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო